AQUAPOINT LLC

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული
სააგენტო
01. 08 2022 წ.
№ 3716

სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტო"-ს

№ 001/0822

01.08.2022 წ.

გაცნობებთ, რომ შპს „აკვაპოინტი" გეგმავს რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონში, ლენტეხის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნანარის მიმდებარედ, მდინარე ხოფურზე 5.22 მგვტ. სიმძლავრის დერივაციული ტიპის ჰიდროელექტროსადგური „ხოფური 1 ჰესი"-ს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებას.

მოცემული პროექტი განეკუთვნება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს I დანართის 22-ე პუნქტით („5 მეგავატი ან მეტი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ან/და ექსპლუატაცია") და ამავე კოდექსის II დანართის 3.4 ქვეპუნქტით (35 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა, 110 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის ქვესადგურის განთავსება) გათვალისწინებულ საქმიანობას.

მიმდინარე წლის 26 აპრილს შპს „აკვაპოინტის" მიერ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილ იქნა - „ხოფური 1 ჰესის" სკოპინგის ანგარიში, რასთან დაკავშირებითაც 2022 წლის 23 მაისს 14:00 საათზე, ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ხოფურის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში ჩაინიშნა საჯარო განხილვა.

2022 წლის 23 მაისს ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ხოფურის ადმინისტრაციული ერთეულის შენობასთან შეკრებილმა მოსახლეობამ უარი განაცხადა საჯარო განხილვის დასწრებაზე, შესაბამისად სააგენტოს თანამშრომელმა ჩაშლილად გამოაცხადა საჯარო განხილვა.

შექმნილი ვითარების გათვალიწინებით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტომ წერილობით N 21/2124 (31/05/2022) აცნობა შპს „აკვაპოინტს", რომ სააგენტო წყვეტდა ადმინისტრაციულ წარმოებას პროექტთან დაკავშირებით განახლებული სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენამდე, სადაც უნდა ასახულიყო პროექტთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების, მათი პოზიციების, დამოკიდებულების, აზრის გათვალისწინების და შეთანხმების (არსებობის შემთხვევაში) ამსახველი ინფორმაცია.

ზემოარნიშნულიდან გამომდინარე, შპს „აკვაპოინტმა" მიმდინარე წლის 10 ივლისს სოფ. ნანარის მოსახლეობასთან ჩაატარა შეხვედრა პრეზენტაციის სახით. შეხვედრას დაესწრო დაახლოებით 20-25 ადგილობრივი მოსახლე, მათ შორის ადგილობრივი თვითმართველობის

AQUAPOINT LLC

წარმომადგენელი. შეხვედრაზე კომპანიამ მოსახლეობას წარუდგინა პროექტის ზოგადი პრეზენტაცია, გააცნო ზემოქმედების სახეები და სოფელ ნანარისთვის დაგეგმილი სოციალური პროექტები, რის შედეგადაც მოსახლეობამ გამოხატა ინტერესი განაგრძოს მოლაპარაკებები კომპანიასთან და დაესწროს სამინისტროს მიერ ორგანიზებულ საჯარო განხილვას.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, სააგენტოს N 21/2124 (31/05/2022) წერილის მოთხოვნების გათვალისწინებით, შპს „აკვაპოინტმა" მოამზადა ლენტეხის მუნიციპალიტეტში, მდ. ხოფურზე 5.22 მგვტ. სიმძლავრის ხოფური 1 ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის განახლებული სკოპინგის ანგარიში.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ სკოპინგის დასკვნა.

წერილს თან ერთვის:

- სკოპინგის ანგარიში - 1 ეგზემპლარი;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით - 1 CD;

პატივისცემით,

შპს ,,აკვაპოინტი"-ს დირექტორი

ზურაბ სამსონიძე

z.samsonidze@gmail.com

+995591211541